წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2024 წლის 26 დეკემბერი

ქ. წალკა

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 03.02.2025წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.ე“ ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 03.02.2025წ.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №25 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 28/12/2023, 010260020.35.155.016423).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **ირაკლი გიგინეიშვილი**

დანართი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 03.02.2025წ.

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	პოლიტიკური თანამდებობის პირები	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	5986
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4526
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3942

4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3212
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		2920
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		2336

საკრებულოს აპარატი

№	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და რანგი	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო
1	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	3358
2	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი)	1	2628
3	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898
4	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898
5	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1752
6	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1606
7	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი)	1	2628
8	სამდივნო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898
9	სამდივნო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1606